

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის
დებულება

დამტკიცებულია უნივერსიტეტის
წარმომდგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ

27 ოქტომბერი 2015 წელი

2015 წელი

1. ზოგადი დებულებანი

1.1 სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2 დებულება განსაზღვრავს დეპარტამენტის ფუნქციებსა და სტრუქტურას.

2. დეპარტამენტის ფუნქციები

2.1. სტუ-ში განათლების ყველა საფეხურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სათანადო მეთოდური უზრუნველყოფის შემუშავება, ამ მიზნით:

- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მეთოდური დოკუმენტების (დებულებების, ინსტრუქციების, წესების და სხვ.) პროექტების შემუშავება
- სასწავლო პროცესის მეთოდურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილებების პროექტების მომზადება;
- სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე სემესტრის გრაფიკის შესახებ ბრძანებებისა და სხვა მეთოდური შინაარსის ბრძანებების პროექტების მომზადება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად დიპლომის დანართების, აგრეთვე აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობების მომზადების კოორდინაცია;

2.2. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ნორმალიზაციისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის შექმნილი აუდიო-ვიდეო სისტემებისა და ტელეაპარატურის მართვა და ექსპლუატაცია.

2.3. უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებულ პირებისათვის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა.

2.4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აკადემიურ სამიტებზე მონაწილეობის მიღება;

2.5. მონაწილეობა უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი აკადემიური განათლების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სწავლების, სწავლისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაში, გავრცელებაში, დანერგვაში და შემდგომ სრულყოფაში.

- 2.6. სასწავლო პროცესის მართვისა და მეთოდური უზრუნველყოფის, კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), დიპლომის დანართისა და უმაღლესი განათლების სხვა პრობლემებზე სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა.
- 2.7. ფუნქციების შესრულების მიზნით უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებთან კავშირში საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობა.

3. დეპარტამენტის სტრუქტურა

- 3.1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პირი (დეპარტამენტის უფროსი) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან.
- 3.2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე.
- 3.3. დეპარტამენტში განყოფილებების, სექტორების, ჯგუფების, აგრეთვე მთავარი სპეციალისტების, უფროსი სპეციალისტებისა და სპეციალისტების რაოდენობა და თანამდებობრივი განაკვეთები განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და სამტატო განრიგის შესაბამისად.
- 3.4. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 3.5. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის და ვიცე-რექტორის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
- 4.2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.